ურთიერთგაგების მემორანდუმი
იტალიის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს
ოპიფიჩიო დელე პიეტრე დურეს (OPD) და
საქართველოს საპატრიარქოს
გელათის რეაბილიტაციის დროებით კომიტეტს შორის
კულტურული თანამშრომლობის შესახებ

იტალიის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს ოპიფიჩიო დელე პიეტრე დურეს (OPD) და საქართველოს საპატრიარქოს გელათის რეაბილიტაციის დროებითი კომიტეტი, შემდგომში ინდივიდუალურად მოხსენიებული როგორც „მონაწილე“, ხოლო ერთობლივად — როგორც „მონაწილეები“,

ითვალისწინებენ რა საქართველოს მთავრობასა და იტალიის რესპუბლიკის მთავრობას შორის კულტურისა და მეცნიერების სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას (1997 წ.);

მხედველობაში იღებენ რა საქართველოს მთავრობასა და იტალიის რესპუბლიკის მთავრობას შორის კულტურისა და მეცნიერების სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების აღმასრულებელ პროგრამას (2023-2027 წლები);

სურთ რა ორმხრივი თანამშრომლობის გაძლიერება კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების, შესწავლისა და პოპულარიზაციის სფეროში და სამეცნიერო და კულტურული კავშირების განმტკიცება;

ითვალისწინებენ რა იტალიასა და საქართველოს შორის უკვე არსებულ მეგობრულ ურთიერთობებს, დადეს ეს ურთიერთგაგების მემორანდუმი (შემდგომში აგრეთვე მოხსენიებული როგორც „მემორანდუმი“) შემდეგზე:

მუხლი 1
მიზანი და საგანი

1.1. მონაწილეები ითანამშრომლებენ კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციისა და დაცვის მიზნით ორმხრივი სამეცნიერო და საგანმანათლებლო მნიშვნელობისა და აქტუალობის მქონე პროექტების მეშვეობით, დაწყებული გელათის სამონასტრო კომპლექსის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის კედლის მხატვრობის კონსერვაციის პროექტით.

მუხლი 2
თანამშრომლობის სფეროები

2.1 მონაწილეები ითანამშრომლებენ საერთო ინტერესის შემდეგ სფეროებში: გელათის მონასტრის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის მნიშვნელოვანი

კომპონენტის - წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის კედლის გეგმური და პრევენციული კონსერვაცია და საპილოტე რესტავრაცია.

მუხლი 3
თანამშრომლობის ფორმები

3.1 ამ მემორანდუმის ფარგლებში მონაწილეები:

a. **შეიმუშავებენ** და უხელმძღვანელებენ ტაძრის კედლის მხატვრობის კონსერვაციის სტრატეგიას, ხელს შეუწყობენ გამოცდილების გაზიარებას შესაბამის სფეროებში, მათ შორის სპეციალისტების მომზადებაში;
b. **ორგანიზებას გაუწევენ** კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს, სტაჟირებებს, სემინარებს, ერთობლივ სამეცნიერო და პრაქტიკულ კონფერენციებსა და სიმპოზიუმებს;
c. განახორციელებენ სამეცნიერო ინფორმაციის გაცვლას და გაივლიან კონსულტაციებს;
d. **განახორციელებენ** სტუდენტებისა და სპეციალისტების გაცვლით პროგრამებს;
e. **ერთობლივად მოაწყობენ** სამუშაო შეხვედრებს;
f. **ხელს შეუწყობენ** თითოეული "მონაწილის" ოფიციალურ გამოცემებში სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნების შესაძლებლობებს.
g. **ითანამშრომლებენ** სიმპოზიუმების, ვორქშოფებისა და კონფერენციების ორგანიზების მიზნით;

3.2 მომავალში შესაძლოა განისაზღვროს და განვითარდეს თანამშრომლობის სხვა სფეროები და მათთან დაკავშირებული ერთობლივი პროექტები. ამ მემორანდუმის პირობების შესაბამისად შემუშავებული ნებისმიერი პროექტის ინიცირებისთვის საჭიროა წინასწარი წერილობითი თანხმობა წინამდებარე მემორანდუმის ხელშემკვრელი მხარეებისგან.

3.3 წინამდებარე ურთიერთგაგების ზოგადი მემორანდუმი განიხილება, როგორც მხარეებს შორის გაფორმებული ნებისმიერი პროგრამული შეთანხმების საფუძველი დოკუმენტი. ნებისმიერ პროგრამასთან დაკავშირებული შემდგომი შეთანხმებები დეტალურად განსაზღვრავს თითოეული მხარის მიერ ნაკისრ კონკრეტულ ვალდებულებებს და ძალაში შევა მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაფორმდება წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი იქნება მხარეთა სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

მუხლი 4
ხარჯები

4.1 წინამდებარე მემორანდუმი არ წარმოშობს ფინანსურ ვალდებულებებს მონაწილეებისათვის და, ნებისმიერ შემთხვევაში, წინამდებარე მემორანდუმის შესრულების ხარჯებს დაფარავენ „მონაწილეები";

4.2 ნებისმიერი სხვა ნაბიჯი, რომელიც საჭიროებს დაფინანსებას, განხორციელდება მხოლოდ მონაწილეებს შორის გაფორმებული კონკრეტული ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე.

მუხლი 5
ინტელექტუალური საკუთრება

5.1 ინტელექტუალური და სამრეწველო საკუთრების ყველა უფლება, რომელიც ეკუთვნის რომელიმე მონაწილეს და ხელმისაწვდომი გახდება წინამდებარე მემორანდუმის განხორციელების მიზნით, რჩება იმ მონაწილის ექსკლუზიურ საკუთრებაში, რომელმაც უზრუნველყო მათი მიწოდება, წინამდებარე მემორანდუმის შეწყვეტის მიუხედავად.

5.2 იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე მემორანდუმის განხორციელების ფარგლებში, ორივე მონაწილის მიერ ერთობლივად განხორციელებული საქმიანობიდან გამომდინარე, წარმოიშობა ინტელექტუალური საკუთრების რაიმე უფლება, აღნიშნული უფლებები განაწილდება და დაცული იქნება მათი შესაბამისი ქვეყნების კანონმდებლობის შესაბამისად და, მიზანშეწონილობის შემთხვევაში, დაექვემდებარება მონაწილეებს შორის ცალკეული და კონკრეტული შეთანხმებების გაფორმებას.

მუხლი 6
პერსონალურ მონაცემთა დაცვა

6.1 მონაწილეები უზრუნველყოფენ, რომ გაცვლილი ინფორმაცია, დოკუმენტები და პერსონალური მონაცემები გამოყენებულ იქნება ექსკლუზიურად წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმით (MoU) განსაზღვრული მიზნებისთვის და არ გადაეცემა არცერთ მესამე მხარეს შესაბამისი მონაწილის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

მუხლი 7

მარეგულირებელი სამართალი

7.1 წინამდებარე მემორანდუმი არ წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელიც წარმოშობს უფლებებს ან ვალდებულებებს საერთაშორისო სამართლის შესაბამისად. წინამდებარე მემორანდუმის არცერთი დებულება არ უნდა იქნას გაგებული და შესრულებული როგორც მონაწილეთა სამართლებრივი ვალდებულება ან ვალდებულების აღება.

7.2 წინამდებარე მემორანდუმი ძალაში იქნება იტალიისა და საქართველოს კანონმდებლობის, აგრეთვე მოქმედი საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, რაც შეეხება იტალიელ მონაწილეს, ევროკავშირში იტალიის წევრობიდან გამომდინარე ვალდებულებების შესაბამისად.

მუხლი 8
აზრთა სხვადასხვაობა

8.1 წინამდებარე მემორანდუმის განმარტებასა და/ან განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი უთანხმოება გადაწყდება თანამშრომლობის გზით, მონაწილეებს შორის პირდაპირი კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების საშუალებით.

8.2 მონაწილეებს შორის მოლაპარაკებები წარიმართება თანასწორობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპების შესაბამისად.

მუხლი 9
დასკვნითი დებულებები

9.1 წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და ძალაში რჩება ხუთი (5) წლის განმავლობაში.

9.2 თითოეულ მონაწილეს შეუძლია შეწყვიტოს წინამდებარე მემორანდუმის მოქმედება ნებისმიერ დროს, მეორე მონაწილისათვის საკუთარი განზრახვის შესახებ შეტყობინების გზით, მემორანდუმის შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე სულ მცირე სამი (3) თვით ადრე.

9.3 წინამდებარე მემორანდუმში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ნებისმიერ დროს, მონაწილეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, წერილობითი ფორმით.

9.4 წინამდებარე მემორანდუმის შეწყვეტა გავლენას არ მოახდენს მიმდინარე საქმიანობებისა თუ პროექტების განხორციელებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მონაწილეები წერილობით სხვაგვარად არ შეთანხმდებიან.

ხელმოწერილია გელათის მონასტერში, ტყიბულის მუნიციპალიტეტი, საქართველო, 2026 წლის 11 ივნისის ორ (2) დედნად, თითოეული იტალიურ, ქართულ და ინგლისურ ენებზე. ყველა ტექსტი თანაბრად ავთენტიკურია. ინტერპრეტაციისას რაიმე განსხვავების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ენაზე შედგენილ დოკუმენტს

იტალიის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს ოპიფიჩიო დელე პიეტრე დურეს (OPD) სახელით	საქართველოს საპატრიარქოს გელათის რეაბილიტაციის დროებითი კომიტეტის სახელით
დოქტორი ემანუელა დაფრა სუპერინტენდენტი	არქიმანდრიტი კირიონი (ონიანი) კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
Emanuela Daffra	+არქ. კირიონი (ონიანი)